პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 95 (6656)

17 1980 წ. მაისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პორტუგალიის სპორტსმენთა ოლიმპიური თანხმობა

ლისაბონი. პორტუგალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მონაწილეობა მიიღოს მოსკოვის ოლიმპიადაში. პორტუგალია გამოგზავნის თავის სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებზე, მიუხედავად კარტერის ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული ბოიკოტისა და ამ მიმართებით ქვეყნის მთავრობის მხრივ გაძლიერებული დაწოლისა (საკდესი).

□

## სიძნელეების მიუხედავად

ლონდონი. 200-მა ბრიტანელმა სპორტსმენმა გამოთქვა მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი. ეს დადასტურდა ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის სხდომაზე, რომელზეც განხილული იქნა ოლიმპიურ თამაშებზე დიდი ბრიტანეთის გუნდის გამგზავრების უზრუნველყოფის საკითხები.

როგორც ცნობილია, კონსერვატორების მთავრობა ცდილობს ჩაშალოს ბრიტანელი სპორტსმენების მონაწილეობა მოსკოვის ოლიმპიადაში და მიმართავს უხეში დაწოლის მეთოდებს, მათ შორის ფინანსურსაც. შედეგად ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაცია გასამგზავრებლად აუცილებელი თანხის მწვავე ნაკლებობას განიცდის. „მაგრამ, — განაცხადა ასოციაციის მდივანმა რ. პალმერმა, — ჩვენ ვაგრძელებთ თანხების შესაგროვებელ კამპანიას და ვიმედოვნებთ, რომ საბოლოოდ 200-ზე მეტი სპორტსმენი გაემგზავრება მოსკოვში".

ოლიმპიადაზე წასვლის გეგმებს მხარს უჭერენ ქვეყნის ფართო პოლიტიკური, საზოგადოებრივი და პროფკავშირული წრეები. (საკდესი).

● კალათბურთი

## ყველა საგზური განაწილდა

ბულგარეთის ქალაქ ვარნაში მიმდინარე კალათბურთელ ქალთა წინაოლიმპიურ ტურნირში მოსკოვის თამაშების კიდევ ორი მონაწილე გაირკვა. ადრე ვიტყობინებოდით, რომ ოლიმპიადის საგზურები მოიპოვეს ბულგარეთისა და აშშ-ს სპორტსმენებმა. გუშინწინ მათ შეუერთდნენ კუბელები, რომლებმაც მორიგი შეხვედრა მოიგეს უნგრელებთან — 87:81 და იუგოსლაველები. ისინი პირველ ტაიმს აგებდნენ იტალიელებთან (26:28), მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება იზეიმეს — 65:58. მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილის ბოლო „ბილეთი" მიეცემა უნგრეთისა და იტალიის გუნდებს შორის უძლიერესს.

გუშინ გვიან შევიტყვეთ, რომ უნგრეთისა და იტალიის გუნდების შეხვედრაში წარმატებას იტალიელებმა მიაღწიეს (60:53) და მოსკოვის თამაშების მეხუთე საგზური მოიპოვეს. ამით კალათბურთელ ქალთა წინაოლიმპიური ტურნირი დამთავრდა.

□

## ბრძოლები გამწვავდა

ჟენევაში, ევროპის ვაჟთა გუნდების წინაოლიმპიურ ტურნირში, რომელმაც თამაშების 3 საგზური უნდა გასცეს, ბრძოლები სულ უფრო მწვავდება. ლიდერობას ინარჩუნებს იტალიის ნაკრები, რომელსაც არც ერთი წაგება არა აქვს. იტალიელებმა მორიგ ტურში დაამარცხეს შვედები — 82:79: კარგი შანსი აქვთ. აგრეთვე, ესპანელებს, რომლებმაც მეოთხე ტურში მოუგეს ფრანგებს — 103:100 (55:52). სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია 82:74, ისრაელი — გფრ 96:74.

ოთხი ტურის შემდეგ იტალიელებს 8 ქულა აქვთ. ესპანელებს — 7. 6-6 ქულით შემდეგ ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, საფრანგეთისა და ისრაელის კალათბურთელები. გფრ-მ 5 ქულა მოაგროვა, შვეციამ — 4.

● ჭადრაკი

## შ ე თ ა ნ ხ მ დ ნ ე ნ: 1 სექტემბერს, თბილისში

გუშინ ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მონაწილენი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი **ნ. გაფრინდაშვილი** და საერთაშორისო ოსტატი **ნ. იოსელიანი** შეხვდნენ ერთმანეთს მოსალაპარაკებლად თავიანთი მატჩის ჩატარების ადგილისა და მისი დაწყების დროის თაობაზე. როგორც ცნობილია, ორივე მოჭადრაკემ გაიმარჯვა გათამაშების პირველ ეტაპზე მეოთხედფინალურ მატჩში და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ითამაშონ თბილისში სექტემბერში. მატჩი საზეიმოდ გაიხსნება 1 სექტემბერს ჭადრაკის სასახლეში, რომელიც მას ბოლომდე უმასპინძლებს. I პარტია 2 სექტემბერს გათამაშდება.

მოჭადრაკეებმა დაასახელეს თავიანთი მწვრთნელები: ნ. გაფრინდაშვილმა — საერთაშორისო ოსტატები ე. უბილავა (თბილისი) და ნ. რაშკოვსკი (კურგანი), ნ. იოსელიანმა — რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი ვ. იურკოვი (მოსკოვი) და დიდოსტატი ბ. გურგენიძე.

მატჩში უნდა გათამაშდეს 10 პარტია. გამარჯვებისთვის საკმარისია 5,5 ან 6 ქულის მოგროვება. ყაიმის (5:5) შემთხვევაში დაინიშნება ორი დამატებითი პარტია, მანამდე კი წილისყრა ჩატარდება. თუ აქაც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მაშინ მეტოქენი ისევ გაითამაშებენ ორ პარტიას ახალი წილისყრით. თუ ამ მიკრომატჩმაც ვერ დაასახელა გამარჯვებული, მაშინ უპირატესობა მიეცემა იმ მეტოქეს, რომელსაც შავებით მეტი მოგება აღმოაჩნდება. თუ მათი რაოდენობა თანაბარი იქნა, მაშინ გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელმაც შავებით ბოლოს მოიგო. თუ შავებით პარტია საერთოდ არც ერთ მოჭადრაკეს არ მოუგია, მაშინ შემდეგი ეტაპის (ფინალის) მონაწილე კენჭისყრით გაირკვევა.

მოჭადრაკეები კვირაში ოთხ პარტიას გაითამაშებენ. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს სამჯერ არ გამოცხადდეს თამაშზე საპატიო მიზეზით.

მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მთავარ მსაჯად მოიწვიონ საერთაშორისო არბიტრი ლ. ვახესაარი (ტალინი). მის მოადგილედ — საკავშირო კატეგორიის მსაჯი კ. პოსტოვსკი (მოსკოვი).

ნ. გაფრინდაშვილისა და ნ. იოსელიანის მოლაპარაკებას ესწრებოდნენ საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი გ. **ბედინეიშვილი** და საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში **რ. თავარიანი.**

## 1 ივნისს, ოდესაში

როგორც ვიუწყებოდით, ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი ვერ დაიწყო თავის დროზე იმის გამო, რომ ტ. ლემაჩკოს (ბულგარეთი) მეტოქე არ იყო ცნობილი. იგი ამას წინათ გამოვლინდა დამატებითს მატჩში მ. ლიტინსკაიასა (სსრ კავშირი) და გ. ფიშდიკს (გფრ) შორის. გაიმარჯვა საბჭოთა მოჭადრაკემ და მეოთხედფინალური მატჩის საგზურიც მოიპოვა.

და აი, ფიდე-მ გამოაცხადა, რომ ლემაჩკო—ლიტინსკაიას მეოთხედფინალური მატჩი გაიმართება ოდესაში 1 ივნისიდან. მეტოქენი ათ პარტიას გაითამაშებენ.

ამ მატჩში გამარჯვებული ნახევარფინალში შეხვდება დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას.

## მსოფლიო ემზადება მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის

## საფეხბურთო ოლიმპიური ტურნირის წილისყრა

მოსკოვში, XXII ოლიმპიური თამაშების მთავარ პრეს-ცენტრში, 15 მაისს გაიმართა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის ფინალური ნაწილის წილისყრა.

საზეიმო ცერემონია გახსნა „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. როგულსკიმ, შემდეგ სიტყვით გამოვიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სამოყვარულო კომიტეტის თავმჯდომარე ბრაზილიელი ა. დალმეიდა.

ცერემონია ჩაატარა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჰ. კეზერმა (შვეიცარია), რომელმაც განაცხადა, რომ ფიფა-ს სამოყვარულო კომიტეტის წევრებმა განსაზღვრეს წილისყრის პრინციპები და გადაწყვიტეს რიგი საორგანიზაციო საკითხები, კერძოდ, დადგინდა გუნდების წინასწარი განაწილება გეოგრაფიული პრინციპისა და მათი სპორტული კვალიფიკაციის მიხედვით, რათა ფავორიტები ერთმანეთს არ შეხვედროდნენ ჯგუფურ ტურნირებში. მანვე გამოაქვეყნა ცნობა, რომ ტურნირის მასპინძელი — სსრ კავშირის ნაკრები და 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — გდრ-ის ნაკრები სხვადასხვა ჯგუფებში განლაგდნენ.

წილისყრის შედეგები:

„ა" ჯგუფი

1. სსრ კავშირი
2. არგენტინა
3. ზამბია
4. ცენტრალური, ჩრდილოეთ ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების გამარჯვებული

„ბ" ჯგუფი

5. ჩეხოსლოვაკია
6. რუმინეთი
7. განა
8. კუვეიტი

„გ" ჯგუფი

9. გდრ
10. ესპანეთი
11. ალჟირი
12. იაპონია

„დ" ჯგუფი

13. იუგოსლავია
14. ნორვეგია
15. კოსტა-რიკა
16. ირაკი

ჯგუფური ტურნირები 1980 წლის 20-25 ივლისს გაიმართება მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში.

27 ივლისს დანიშნულია მეოთხედფინალები. აქ შეხვედრები ასე გაიმართება: „ა" ჯგუფის გამარჯვებული — „ბ" ჯგუფის II ადგილი (მოსკოვი), „გ" ჯგუფის გამარჯვებული — „დ" ჯგუფის II ადგილი (კიევი); „დ" ჯგუფის გამარჯვებული — „გ" ჯგუფის II ადგილი (მინსკი); „ბ" ჯგუფის გამარჯვებული — „ა" ჯგუფის II ადგილი (ლენინგრადი).

ნახევარფინალები გაიმართება 29 ივლისს, მატჩი III ადგილისთვის — 1 აგვისტოს, ხოლო ოლიმპიადის ფინალი — 2 აგვისტოს.

● ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახ. „დინამოს" სტადიონი. 16 მაისი. „დინამო" (თბილისი)—„ზენიტი" (ლენინგრადი") — 5:1 (1:0).

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ხურციძე (კოპალეიშვილი), მინაშვილი, ჰილაია, ჯოხაძე (გ. მაჩაიძე), შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე.

„ზენიტი": ტკაჩენკო, დავიდოვი, სტეპანოვი, გოლუბევი, ბონდარენკო, ლარიონოვი, იგნატოვიჩი (გერასიმოვი), კაზაჩონოკი, ჟელუდკოვი, მელნიკოვი (დოლგოპოლოვი), ტიმოფეევი.

მსაჯი ი. დუტკო (ლვოვი).

დუბლიორები — 2:0. ბურთები გაიტანეს მუმლაძემ და კოპალეიშვილმა.

## შესანიშნავად ჩატარებული მატჩი

„ზენიტს" არ ჰქონია ისეთი მიღწევები, როგორიც წლეულს გააჩნია. მოხდა სრული მეტამორფოზა: იმ უწყინარი, საშუალო გუნდიდან, რომელიც ლიდერობას იმდენად არ ცდილობდა, რამდენადაც აუტსაიდერობის ძნელი მდგომარეობიდან თავის დაღწევას, გუნდმა გათამაშების სათავეში დაიმკვიდრა ადგილი და, ამდენად, მისი გამოსვლებიც მიმდინარე ჩემპიონატის ცენტრალურ მოვლენად იქცა.

ახლა, როცა ასეთი წარმატებებია მიღწეული, ლენინგრადელები ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა შეინარჩუნონ წარმატება და არც ერთ მატჩში, ჩქნება ეს შინ, თუ სტუმრად, არ დაუთმონ მეტოქეებს.

მაგრამ ერთია სურვილი და სულ სხვა — მისი განხორციელების გზები, შესაძლებლობანი. ზენიტელებმა თამაში დაიწყეს მაღალ ტემპში, შეუნელებელი მოძრაობით, სწრაფად, მაგრამ მათი ეს ტოტალური მცდელობანი ერთიანად დაიმსხვრა თბილისის „დინამოს" საშემსრულებლო ინდივიდუალური ოსტატობისა და საერთო მაღალი კლასის წინაშე. ლენინგრადელებმა ყველაფერი შესწირეს პირველ ტაიმს, ხოლო მეორეში აბსოლუტურად დათმეს ყველაფერი. მასპინძლებმა კი თანდათან, მეთოდურად მოუმატეს თამაშს და საბოლოოდ დიდი ანგარიშით გამარჯვებამდე მიიყვანეს ეს შესანიშნავად ჩატარებული მატჩი.

პირველი ტაიმი მოკრძალებული ანგარიშით დამთავრდა — 1:0, ბურთი გაიტანა ჩელებაძემ. შესვენების შემდეგ მინაშვილმა მე-

(დასასრული იხ. მე-3 გვ).

## მხოლოდ სამი შეხვედრა

წულუკიძე. 16 მაისი, (დეპეშით ჩვენი, სპეც. კორ.). საქართველოს ქალთა 36-ე. ჩემპიონატის ფინალში, რომელიც ლენინური კომკავშირის სახელობის რაიონის საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს, III ტურის შეხვედრები ჩატარდა.

ოსტატმა ქ. მელაშვილმა მოუგო თ. ჰანტურიას, ლ. სადუნიშვილმა (სამივე — თბილისი) — ი. კურცხალიას (ქუთაისი). ყაიმით დამთავრდა ნ. მუსერიძე (თბილისი) — ი. აბზიანიძის (ქუთაისი) შეხვედრა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ც. კახაბრიშვილს უკეთესი მდგომარეობა აქვს ნ. მელაშვილთან, თბილისის ჩემპიონს რ. გეგიძეს — ი. ამბროლაძესთან (ქუთაისი) და ოსტატ ც. კობაიძეს — გ. ალიხანაშვილთან (ორივე — თბილისი).

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი) — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ი. აბზიანიძე, ლ. სადუნიშვილი — 2-2.

ზ. ბურკაძე,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## სწრაფად დაზავდნენ

ბუგოინის (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის IV ტურში ყველაზე სწრაფად ა. კარპოვ — ლ. ლიუბოევიჩის შეხვედრა დამთავრდა. მეტოქენი გაურბოდნენ რისკიან თამაშს: მსოფლიო ჩემპიონი თავს შეუძლოდ გრძნობდა, ლიუბოევიჩს კი ახსოვდა, რომ კარპოვთან ხშირად წაუგია. ამიტომ უკვე 23-ე სვლაზე მოჭადრაკეები დაზავდნენ.

ბ. ლარსენმა სძლია მ. ტალს. ლ. პოლუგაევსკი — უ. ანდერსონის შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა.

V ტურში პირველი გამარჯვება იზეიმეს ტალმა და პოლუგაევსკიმ. ტალმა სძლია ბ. კურაიცას, მეორემ — ლიუბოევიჩს. ლარსენმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ი. ტიმანთან.

კარპოვმა უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ბ. ივკოვთან.

5 ტურის შემდეგ ლარსენს 3,5 ქულა აქვს, პოლუგაევსკისა და ტიმანს — 3-3, ტალს, ლიუბოევიჩს და ლ. კავალეკს — 2,5-2,5, კარპოვს — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი



# თეიმურაზ კაკულია: „მომავლის იმედი მაქვს“

**70-იანი** წლები საქართველოს ჩოგბურთისთვის სწორედ რომ „ოქროს ხანა“ იყო. სპორტის დამსახურებული ოსტატების ალექსანდრე მეტრეველისა და თეიმურაზ კაკულიას წარმატებებმა საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე შორს გაუთქვა სახელი ქართულ საჩოგბურთო სკოლას. ამ ხნის მანძილზე მათ აურაცხელზის მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება და ევროპის პირველი ჩოგნის ტიტულებსაც ფლობდნენ. განსაკუთრებით მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ 1972 წლიდან მოყოლებული დევისის თასზე, მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის გათამაშებაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას სწორედ ეს ორი სპორტსმენი იცავდა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, 1973 წლის მსოფლიოს უნივერსიადის აბსოლუტური ჩემპიონის თეიმურაზ კაკულიას სპორტული ბიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ფურცლად უდავოდ საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე გამოსვლა უნდა ჩაითვალოს. ქართველმა ჩოგბურთელმა ლატვიის საკურორტო ქალაქ იურმალას კორტებზე ისეთი „ცეცხლი დაანთო“, ისე ლამაზად და, რაც მთავარია, შედეგიანად ითამაშა, რომ ბევრისმნახველ სპეციალისტებსაც კი არაერთხელ აღმოხდათ აღტაცების შეძახილი. მსაჯებმა თერთმეტჯერ იხმეს კაკულია საასპარეზოდ და თერთმეტივეჯერ (მათ შორის, ოთხი წყვილთა შეხვედრა მეტრეველის მხარდამხარ) გამარჯვებულმა დატოვა მოედანი. ეს ტურნირის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი იყო.

შემდეგ კი, სულ მალე, სამწუხაროდ, ხმა დაირხა, კაკულია ჩოგბურთს თავს ანებებსო. პრესაშიც გამოქვეყნდა ცნობა ამის თაობაზე. უნდა ითქვას, რომ სპორტის მოყვარულთათვის ეს მეტად გულსატკენი და ნაადრევი გადაწყვეტილება იყო — ჩოგბურთელისთვის 32 წელი ხომ სრულიადაც არ ითვლება კრიტიკულ ასაკად.

სწორედ ამით დავიწყეთ საუბარი სახელგანთქმულ სპორტსმენთან.

— სპორტიდან ჩემი წასვლა არც ისე ნაადრევი ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, — ამბობს **თეიმურაზ კაკულია**. — საქმე ისაა, რომ სპარტაკიადამდე დიდხანს ავადმყოფობდი. თითქმის ერთი წელიწადი ხეირთანად არც კი მევარჯიშა და იურმალაში გამგზავრებამდე მხოლოდ ორი თვით ადრე სერიოზულად მოვკიდე ხელი ჩოგანს. რაც შეეხება სპარტაკიადას, იქ მთლად ჯანმრთელად მაინც ვერ ვიყავი. ამიტომაც იყო, რომ ოქტომბერში მონაწილეობა ვერ მივიღე დონეცკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში. სწორედ მაშინ გადავწყვიტე ჩოგბურთისთვის თავის დანებება. აქ გარკვეული როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ ძალზე დიდი დრო მიაქვს მუშაობას ოლიმპიური რეზერვის ჩოგბურთის სპეციალიზებულ ბავშვთა და მოზარდთა სკოლაში, რომელსაც უკვე ორი წელია ვხელმძღვანელობ.

● **მაგრამ იანვარში ისევ გამოხვედით კორტზე...**

— როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ნაკრები წლეულს პირველად მონაწილეობდა ე. წ. „სამეფო თასის“ გათამაშებაში (ფაქტიურად ეს ასპარეზობა ევროპის გუნდური ჩემპიონატია დახურულ მოედნებზე) და საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობამ მთხოვა დავბრუნებოდი გუნდს, რათა დავხმარებოდი პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში. თავდაპირველად ეს გახლდათ, ასე ვთქვათ, ჩვენი „პროგრამა მინიმუმი“, მაგრამ ტურნირის მსვლელობისას შეგვიქმნა ფინალში გასვლისა და მეორე ადგილის მოპოვების შანსი. მე ძირითადად წყვილთა შეხვედრაში მიწევდა თამაში მოსკოველ ვადიმ ბორისოვთან ერთად. ჩვენმა დუეტმა რვა შეხვედრა გამართა — ბალანსი თანაბარია: 4 მოგება, 4 წაგება. ჩემი აზრით, ასეთ ძლიერ ტურნირში საბჭოთა ნაკრების მიერ დაკავებული მეოთხე ადგილი პირველი ლიგის დებიუტანტისთვის ურიგო შედეგი როდია.

● **დევისის თასზე საფრანგეთის გუნდთან წაგების შესახებ რას იტყვით?**

— „სამეფო თასის“ გათამაშებაში ჩვენ ორჯერ შევხვდით საფრანგეთის ნაკრებს და ორივეჯერ ადვილად დავამარცხეთ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს წინააღმდეგ 17-18 წლის იუნიორები თამაშობდნენ. თებერვლის პირველ რიცხვებში კვლავ მოგვიწია ფრანგებთან შეხვედრა, ახლა უკვე დევისის თასზე ქალაქ მონპელიეში. მასპინძლებმა სხვა, უფრო ძლიერი შემადგენლობა გამოიყვანეს, თუმცა ისიც საკმაოდ ახალგაზრდული იყო. მიუხედავად ამისა, ფრანგი ჩოგბურთელები თამაშის კლასით ჩვენზე ძლიერად გამოიყურებოდნენ. ამდენად ჩვენი ნაკრების მარცხი (2:3) სავსებით კანონზომიერად მიმაჩნია.

სხვათა შორის, უკვე მეორე წელიწადია, რაც ჩვენი გუნდი პირველივე შეხვედრის შემდეგ ეთიშება დევისის თასისთვის ბრძოლას (შარშან ესპანელებმა მოგვიგეს 5:0). არცაა გასაკვირი: ვეტერანები თანდათან თმობენ პოზიციებს, ახალგაზრდები კი, ვიზეც იმედს ამყარებენ, ჯერჯერობით ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე.

სამწუხაროდ, ასეთივე მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაშიც. თვითონ განსაჯეთ: საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულებში პირველად-ბოლო 20 წლის მანძილზე არ არიან საქართველოს წარმომადგენლები (მეტრეველმა და მე ავადმყოფობის გამო ბევრი შეჯიბრება გამოვტოვეთ და ამიტომ სიაში ვერ მოვხვდით). უფრო მეტიც: მათგან საუკეთესო, 22 წლის გია ელერდაშვილი მხოლოდ 23-ე ადგილზეა! 50 უძლიერესის სიაში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი ჩოგბურთელია — 19 წლის რომან გევორქიანი (43-ე ადგილი). კიდევ უფრო ცუდადაა საქმე ქალთა შორის. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალა ივანოვა მხოლოდ 49-ეა, ხოლო ნინო თუხარელი ერთი საფეხურით დაბლა დგას. ამ სპორტსმენთა ასაკის გათვალისწინებით, ძნელია მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრი.

● **შარშან შემოდგომაზე, ხარკოვში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა. ალბათ, ეს გამარჯვება გარკვეულ იმედს გვისახავს მომავლისთვის?**

— ჩვენმა ახალგაზრდებმა მართლაც გაგვახარეს და დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება იზეიმეს. უკანასკნელად ამგვარ ტურნირში საქართველოს წარგზავნილებმა 1965 წელს მიაღწიეს წარმატებას. და მაინც თავს უფლებას ვაძლევ ვთქვა, რომ ხარკოვის ასპარეზობაში ჩვენი ნაკრები ძლიერი იყო და არა უძლიერესი, რადგან ორ-სამ კოლექტივს პირველობის მოპოვების თანაბარი შანსი ჰქონდა. საქართველოს ჩოგბურთელთა გამარჯვება განაპირობა მწვრთნელთა მიერ გაწეულმა დიდმა შრომამ, აგრეთვე იმან, რომ სპორტსმენებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს წარმატების მოსაპოვებლად.

● **თქვენს სკოლას საპატიო მისია აკისრია — გააგრძელოს ქართული ჩოგბურთის სახახელო ტრადიციები.**

— ამჟამად სკოლაში ვარჯიშობს 600 ბავშვი, რომლებმაც ჩვენთან ყოფნის ორი წლის მანძილზე ბევრი რამ ისწავლეს, მაგრამ მათი ოსტატობის შემდგომ სრულყოფას ამუხრუჭებს მოედნების ნაკლებობა. იმედია, ეს პრობლემა მალე დადებითად გადაწყდება, რადგან დიღომში, კინოსტუდიის მახლობლად, ჩვენი სკოლისთვის საკმაო ფართობია გამოყოფილი.

რესპუბლიკაში ჩოგბურთის მომავალი ბევრადაა დამოკიდებული მასზე, თუ რამდენად მალე შევა ექსპლოატაციაში და რაოდენ სრულყოფილი იქნება ეს ახალი კომპლექსი, სადაც სასურველია იყოს 20-მდე მოედანი, სულ მცირე ოთხი დახურული კორტი, საქტო დარბაზი სასწავლო ფილმებისა და დიაპოზიტივების საჩვენებლად, სარეაბილიტაციო ცენტრი და სათანადო პირობები სპორტსმენთა საერთო ფიზიკური მომზადებისათვის.

როგორც უკვე გითხარით, ჩვენს სკოლაში მუშაობას საკმაოდ დიდი დრო მიაქვს, ამასთან, ასაკიც თავისას ამბობს. ამიტომ, გადავწყვიტე აღარ ვიასპარეზო ჩვენი ქვეყნის ნაკრებში, არც საკავშირო ჩემპიონატებში გამოვალ და მთელ ყურადღებას ბავშვებთან მუშაობას დავუთმობ. ვფიქრობ, რომ ამით უფრო მეტი სარგებლობის მოტანას შევძლებ, ისე კი თითო-როოლა შეჯიბრებაში შეიძლება დავიცვა რესპუბლიკის ღირსება.

ბოლოს ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ნორჩი ჩოგბურთელის მომავალი თითქმის მთლიანად საკუთარ შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, მათ ჯერ არ მიუღწევიათ შესაძლებლობათა მაქსიმუმისთვის. ინტენსიური მუშაობითა და ვარჯიშისადმი გულმოდგინე დამოკიდებულებით, უდავოდ, ბევრ მათგანს შანსი აქვს მაღალი კლასის სპორტსმენი გახდეს და წარმატებით გააგრძელოს ქართული ჩოგბურთის მდიდარი ტრადიციები.

გ. ახალაძე.

● ახალგაზრდა სპორტსმენის პორტრეტი

## „ნებისმიერ ევროპულ გუნდს დაამშვენებდა“

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი დავით კილასონია რეგბისტებთან მოხვედრისთანავე სამუდამოდ „დაავადდა“ სპორტის ამ სახეობით.

— იცით, ყველაზე მეტად რა მომწონს ამ თამაშში? რეგბისტი უნდა იყოს ნამდვილი ვაჟკაცი, რომელიც გამარჯვებას აღწევს მკაცრ და სახიფათო ბრძოლაში — ამბობს დათო.

...მისი პირველი მწვრთნელი უნივერსიტეტის გუნდში ს. მელითაური იყო, შემდეგ პერსპექტიულმა სპორტსმენმა „ლოკომოტივის“ მწვრთნელების გ. ტონიასა და ნ. ყიფიანის ყურადღება მიიქცია და აი, 12 წელიწადია დავით კილასონია მე-9 ნომრით თამაშობს რკინიგზელთა კოლექტივში.

დათო დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებს პირველ მასწავლებლებს, რომლებმაც არა მარტო გაუმჟღავნეს რეგბის საიდუმლოებანი, არამედ კოლექტივიზმის, ამხანაგობის გაკვეთილები ჩაუტარეს.

ფირა-ს ვიცე-პრეზიდენტმა ი. ირიმესკუმ (რუმინეთი) ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ დათო კილასონია უმაღლესი კლასის რეგბისტია, გუნდისთვის მუდამ დიდი სარგებლობა მოაქვს. იგი, ასე ვთქვათ, ინგლისური — ტექნიკური, კომბინაციური, ელასტიური, ნამდვილად ჯენტლმენური სტილის მოთამაშეა. ვფიქრობ, ნებისმიერ ევროპულ გუნდს დაამშვენებდაო.

დ. კილასონია ყველაზე დირსშესანიშნავად თვლის 1972 წლის მატჩს ქვეყნის პირველობაზე შეიარაღებული ძალების გუნდთან. მაშინ „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა 9:7 და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

მაგრამ მარტო რეგბით კი არ ცხოვრობს ადამიანი. დათო ძალზე გონებამახვილი მოსაუბრეა, აინტერესებს არა მარტო სპორტი, არამედ ფიზიკა, თანამედროვე ლიტერატურა, ჯაზი. იგი ფიზკულტურის ინსტიტუტშიც სწავლობს.

დათო თავის ამხანაგებთან ერთად მონაწილეობდა სსრ კავშირის რეგბისტთა XVII ჩემპიონატის პირველ ეტაპში, რომელიც უზბეკეთის ქალაქ მარგილანში მიმდინარეობდა.

დ. კილასონია ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრია.

გ. ტაგანაშვილი.

# მოახლოებს მოედნები

**„განთიადის“ თბილისის საქალაქო საბჭოს IV პლენუმი**

**გაიმართა** სპორტსაზოგადოება „განთიადის“ თბილისის საქალაქო საბჭოს IV პლენუმი. მოხსენება „სპორტსაზოგადოება „განთიადის“ თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ 1979 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგებისა და 1980 წლის ამოცანების შესახებ“ გააკეთა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. რევიშვილმა.

აღინიშნა, რომ 1979 წელს „განთიადის“ თბილისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, რომლებიც 72 ათას ფიზკულტურელს აერთიანებენ, შესამჩნევად ამაღლდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ხარისხი. განთიადელი სპორტსმენები წარმატებით იცავდნენ დედაქალაქის და რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. წლიური გეგმა-ვალდებულებანი გადაჭარბებით შესრულდა. „განთიადის“ საქალაქო საბჭოს კოლექტივმა კარგად იასპარეზა თბილისის VII საქალაქო სპარტაკიადაში და სპორტულ საზოგადოებათა და უწყებებს შორის 1708,5 ქულით გუნდური I ადგილი დაიკავა.

შემდეგ პლენუმზე სერიოზული საუბარი გაიმართა იმ ნაკლოვანებებზე, რაც ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული კლუბების მუშაობაში შეინიშნება. ითქვა, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა მე-2, მე-3, და მე-15 სამშენებლო ტრესტებში, ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო მანქანათმშენებლობის ქარხანაში, № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკაში. ამასთან, როგ წარმოებადაწესებულებაში ნაკლები ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს, მთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას, მასობრივი სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაციას, არ ზრუნავენ სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება და დასახა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ამოცანები.

# „მართვე“ სამტრედიაში

**კომკავშირის,** ფიზკულტურისა და სპორტის რაიკომებმა, სამოქალაქო თავდაცვის შტაბსა და სამედიცინო გაერთიანებასთან ერთად „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩაატარეს სამტრედიის რაიონის პირველობა საკავშირო კომკავშირულ-სპორტული თამაშობა „მართვეს“ პროგრამით. სტარტზე 20 საშუალო სკოლის ნორჩი არმიელები გამოვიდნენ.

კარგი მომზადება გამოავლინეს სამტრედიის № 2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა და პირველობაც მოიპოვეს. მომდევნო ადგილები ერგოთ ღანირის საშუალო და სამტრედიის № 1 საშუალო სკოლის კოლექტივებს.

• • •

## ვაჟებშიც, ქალებშიც...

**სამტრედიაში** დამთავრდა „სპარტაკის“ რაისაბჭოს პირადგუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 6 კოლექტივის 17 წარმომადგენელი. გუნდური პირველობა სამტრედიის საკონსერვო კომბინატის ნაკრებმა მოიგო. პირად ჩათვლაში ყველას აჯობეს ვაჟებში ო. მეგენეიშვილმა და ქალებში ლ. ადამიამ, (ორივე — საკონსერვო კომბინატი).

ი. ნიკოლეიშვილი.
(ჩვენი კორ.)

## ქუთაისის საქალაქო...

**დამთავრდა** „კოლმეურნეს“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს V სპარტაკიადა. ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ტყვიის სროლაში პირველობა მოიპოვა ცეკავშირის სავაჭრო ბაზისა და კოოპვაჭრობის გაერთიანებულმა კოლექტივმა. ფრენბურთელ ქალთა და მძლეოსანთა ასპარეზობაში იმარჯვეს ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმის სპორტსმენებმა.

რ. როგავიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## ცხრამეტში საუკეთესო...

**ჩვენი** რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების მოსწავლეთა პირველობას საგზატკეცილო ველორბოლაში ზუგდიდი მასპინძლობდა. სარბიელზე 19 კოლექტივი გამოვიდა. 50 კმ წყვილთა შეჯიბრებაში პირველობა ბათუმელებმა მოიპოვეს. მომდევნო ადგილები ერგოთ მცხეთისა და ზედა ეწერის სპორტსმენებს. ამავე დისტანციაზე გუნდურ რბოლაში ფინიშთან პირველი მივიდა ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმის ნაკრები. ბათუმელები ამჯერად II ადგილზე აღმოჩნდნენ. ზუგდიდის მეურნეობა-ტექნიკუმმა კვლავ III ადგილი დაიკავა.

70 კმ ჯგუფური რბოლა თ. ბაკურაძემ მოიგო. მომდევნო ადგილებზე მისი თანაგუნდელები ჯ. კუტუბიძე და ი. ლომთათიძე (სამივე — ბათუმი) გავიდნენ.

საერთო ჩათვლაში იმარჯვა ბათუმის ნაკრებმა. II ადგილზე არიან ლაითურელები, III — ზედაეწერლები.

• • •

## რვაასიდან რვაათასამდე

**ზუგდიდის** „კოლმეურნის“ რაისაბჭომ გამართა კროსი, რომელშიც 12 კოლექტივი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო რბენა 800, 1000, 1500, 3000 მ; 5 და 8 კმ-ზე. კოლმეურნეობებს შორის ყველას აჯობა ოქტომბრის კოლმეურნეობის ნაკრებმა, საბჭოთა მეურნეობების შეჯიბრება ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტსმენებმა მოიგეს.

პირად პირველობაში ცალკეულ დისტანციებზე უძლიერესნი იყვნენ: ი. ლაჭავა, რ. ჯიქია, თ. ყალიჩავა, დ. ქირია, (ყველა — ოქტომბერი), თ. კვარაცხელია (რუხი), ო. აკობია (ახალსოფელი), გ. ღურწკაია (ნარაზენი), რ. ქირია (ურთა), მ. და ნ. წითლიძეები (ორსანტია), მ. შამუგია, ლ. საჯაია, ლ. თორდია (ზედა ეწერი), მ. ყალიჩავა (დარჩელი) და გ. გრიგოლია (ნარაზენი).

კ. ფიფია.

# წოდებათა მინიჭება

აკრობატიკის განვითარებაში გაწეული ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობის, მსაჯობის მაღალი დონის, საკავშირო კატეგორიის არბიტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესრულებისთვის ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა „საკავშირო კატეგორიის მსაჯის“ წოდება მიანიჭა. **პ. გ. მიქიაშვილს** (თბილისი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო).

● თავისუფალი ჭიდაობა

# სხვადასხვა ბალანსით

მოსკოვი. 16 მაისი. (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). „დინამოს“ სპორტის სასახლეში გრძელდება ქვეყნის 36-ე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. პირველ დღეს 3 წონით კატეგორიაში მოასპარეზეებმა 4-4 შეხვედრა გამართეს. ტურნირს გამოეთიშნენ ისეთი ცნობილი ოსტატები როგორებიც კრასნოდარსკელი ვ. ალექსეევი და ხარკოველი ა. დაუდოვია.

ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში საქართველოს სპორტსმენებიც ჩაებნენ (48 და 52 წონით კატეგორიებში ჩვენგან არავინ მონაწილეობს). 62 კგ-ში მ. ხითარიძე და გ. კენკაძე აცხადებდნენ პრეტენზიას, მაგრამ ორივემ მაყურებლებში გადაინაცვლა.

74 კგ წონის კატეგორიაში კარგად გამოდის **გ. მაკახარაშვილი.** მან პირველ 3 შეხვედრაში მეტოქენი წმინდად დაამარცხა, მერე ქულებით მოუგო მახაჩყალელ მ. გაჯიევს, V წრეში კი ასევე ქულებით დამარცხდა მოსკოველ კოროევთან და 4 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. ამავე წონაში **ო. ყაჯაშვილმა** ქულებით სძლია მახაჩყალელ აშურალიევს, ყარაბაღელ მუსლიმოვთან ორთაბრძოლისას კი ორივე მეტოქემ 3-3 გაფრთხილება მიიღო და ორივეს წაგება ჩაეთვალა. V წრის შემდეგ თბილისელს 5 საჯარიმო აქვს. თ. გაბოძემ ერთი წმინდად მოიგო, მეორე შეხვედრაში ქულებით გამარჯვებას დასჯერდა. მერე ცუდად იჭიდავა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

90 კგ-ში სოხუმელმა გ. ყურაშვილმა მეოთხე წრემდე გაძლო და აქ გამოეთიშა ტურნირს.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და ოლიმპიური ჩემპიონი **ლ. თედიაშვილი** 100 კგ წონის სპორტსმენებთან იბრძვის ოლიმპიური საგზურისთვის. იგი ტურნირში ტრავმირებული ჩაება (წარბი აქვს დაზიანებული). შეიძლება ესეც იყო მიზეზი, რომ გროზნოელ ა. ბისულთანოვთან ქულებით დამარცხდა, მაგრამ მომდევნო სამ წრეში ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო, V წრეში კი ქულებით სძლია ევროპის ჩემპიონს მ. მაგომედოვს (ბაქო). ფინალების წინ თედიაშვილს 4 საჯარიმო ქულა აქვს. ამდენივე ქულით იბრძვის ამ წონაში სოხუმელი [illegible] **რ. ხუტაბა.** აღსანიშნავია, [illegible] ხუტაბამ V წრეში წმინდად [illegible] ცია ბისულთანოვი.

ლიდერობს დონეცკელი მსოფლიოს ჩემპიონი ი. მატე. (0,5 ქულა), კრასნოიარსკელ ი. იარიგინს 3,5 ქულა აქვს. ჩემპიონი ამ წონაში დღეს საღამოს გამოვლინდება.

ბრძოლაში სხვა წონის ათლეტებიც ჩაებნენ. I შეხვედრები წმინდად მოიგეს თბილისელებმა ვ. კოტორაშვილმა და დ. გიგაურმა (ორივე — 68 კგ). მძიმეში ჯ. ტარიელაძემ ქულებით დაამარცხა მეტოქე.

**ე. ბერიშვილი.**

# შესანიშნავად ჩატარებული მატჩი

დასასრული

ირედ აიღო ტკაჩენკოს კარი, შემდეგ, 70-ე წუთზე, მასპინძელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა კაზაჩონოკმა და იმავე წუთს სამაგიერო 11-მეტრიანით დაჯარიმდნენ ლენინგრადელები — ყიფიანი წააქციეს. ჩელებაძემ ისევ აღადგინა 2-ბურთიანი განსხვავება — 3:1.

ამის შემდეგ კიდევ უფრო აშკარა შეიქმნა თბილისის „დინამოს“ ტერიტორიული, ტაქტიკური და ტექნიკური უპირატესობა. გუნდმა თავისი ლიდერის — ყიფიანის მეთაურობით მდგომარეობის ხსნას არავითარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს, ცხადყო თავისი მდიდარი პოტენციური შესაძლებლობანი და მზარდი სპორტული ფორმა. მინაშვილმა და ჩივაძემ მოათავეს „ზენიტის“ დიდი ანგარიშით დამარცხების საქმე — 5:1.

**რ. ქორიძე.**

## უმაღლესი ლიგა

15-16 მაისს გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, VIII ტურის მატჩები ფეხბურთში:

„ლოკომოტივი“ — „ჩერნომორეცი“ 0:1
„დინამო“ მ. — „ქაირათი“ 1:1
„პუგაჩი“ — „კარპატი“ 3:0
„დინამო“ მნ. — „არარატი“ 0:0
„სპარტაკი“ — „დინამო“ კ. 1:0
ასკ რ. — „შახტიორი“ 2:0
„ფახტაქორი“ — „ტორპედო“ 0:0

## I ლიგა

13 მაისს გაიმართა I ლიგის საკავშირო გათამაშების მატჩი სტავროპოლის „დინამოსა“ და კიშინიოვის „ნისტრუს“ ფეხბურთელთა შორის.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

● ფეხბურთი

## II ლიგა

15 მაისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ ადგილებიდან:

**„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:1 (0:1).**

რუსთაველი ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელოდნენ ზონის ერთპიროვნული ლიდერის გამოსვლას მათს სტადიონზე, თანაც იმედს ამყარებდნენ, რომ მათი გუნდი განსაკუთრებული მონდომებით ითამაშებდა გორში ამას წინათ განცდილი სერიოზული მარცხის შემდეგ.

თამაში, მართლაც, დაძაბულად წარიმართა, მისი პირველი ნახევარი ლიდერმა მაღალ დონეზე, მობილიზებულად, აქტიურად ჩაატარა. ლოკომოტიველებმა რამდენიმე კუთხური ბურთი მოაწოდეს და ერთ-ერთი მათგანი წარმატებით აღნიშნეს: დქალიშვილმა 35-ე წუთზე კარგად ჩააწოდა ბურთი და იგი მასპინძელთა კარის ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

მეტალურგები ბევრს ეცადნენ გაეთანაბრებინათ ანგარიში, სამისო მომენტები ჰქონდათ აშაძეს, ალადაშვილს, გოგუაძეს, მაგრამ სამტრედიელები ზუსტად იცავდნენ ოავს. შესანიშნავად ითამაშა მეკარე მესხიამ, რომელმაც რამდენიმე უკიდურესად ძნელი ბურთი აიღო. ლიდერმა გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

**რ. გაბრიჭიძე.**

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0 (0:0)**

წინა ტურში სოხუმელებთან სტუმრად განცდილი მარცხის შემდეგ ზუგდიდის დინამოელებმა შინ მთელი მონდომებით ითამაშეს ფოთის „კოლხეთთან“, ვინაიდან ახალი წარუმატებლობა საგრძნობლად გააუარესებდა მათს სატურნირო მდგომარეობას.

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ, მე-15 წუთზე თუთბერიძემ ახლო მანძილიდან ააცილა „კოლხეთის“ კარს, შემდეგ ნაჭყებიამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი.

მიმდინარეობდა შეხვედრის 63-ე წუთი, როცა ფოთელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ნაჭყებიამ ზუსტად გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარში — 1:0.

მატჩის დასასრული „კოლხეთის“ შეტევებით აღინიშნა, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა.

**ბ. ალშიბაია.**

# პენალტებმა გადაწყვიტა

**ბრიუსელის** სტადიონზე 60 ათასი მაყურებელი დაესწრო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩს ფეხბურთში ესპანეთის „ვალენსიასა“ და ინგლისის „არსენალს“ შორის.

ესპანელებმა, რომელთა რიგებში გამოირჩეოდა კემპესი, თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ინგლისელთა კართან, სადაც საიმედოდ თამაშობდა მეკარე ჯენინგსი. შემდგომში მდგომარეობა გათანაბრდა. მეორე ტაიმში უპირატესობა უკვე „არსენალის“ მხარეს იყო, მაგრამ ძირითადი დრო ისე დამთავრდა, ანგარიში არ გახსნილა.

დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც კვლავ უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა. რეგლამენტის თანახმად, გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი პენალტების სერიები (პირველად ამ პრიზის გათამაშების ისტორიაში).

პირველ სერიაში ანგარიში თანაბარი იყო — 4:4. შემდეგ პენალტები გაგრძელდა პირველ გაშვებულ გოლამდე. ესპანელმა არიასმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში, ხოლო ინგლისელი რიქსის სუსტად დარტყმული ბურთი აიღო მეკარე პერეირამ.

ამრიგად, ესპანეთის „ვალენსიამ“ ფინალური მატჩი მოიგო დამატებითი პენალტებით — 5:4 და დაეუფლა თასების მფლობელთა თასს.

**დასრულდა ევროპის ქვეყნების თასის გათამაშება კალათბურთში. ჩემპიონთა თასი მოიპოვა „რეალმა“ (ესპანეთი), თასის მფლობელთა თასი — „ემერსონმა“ (იტალია), ხოლო რ. კორაჩის თასი — „არიგონამ“ (იტალია). გადავავლოთ თვალი საპრიზო პრიზებისათვის გაჩაღებულ პაექრობას.**

## ჩემპიონთა თასი

ჩემპიონთა თასზე „სუპერფინალში“ გასვლისათვის სამი გუნდი იბრძოდა: მადრიდის „რეალი“ (8 ქულა), სარაევოს „ბოსნა“ (6) და „მაკაბი“ (6). მატჩები ამ გუნდების მონაწილეობით საგანგებო ყურადღების ცენტრში მოექცა. მეექვსე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თანამემამულეები — „ბოსნა“ და „პარტიზანი“. „ბოსნამ“ შეძლო პირველ წრეში დამარცხებისათვის რევანშის აღება —93:86. იუგოსლაველი მიმომხილველები გამოცდილი კალათბურთელების გვერდით, აღნიშნავდნენ ახალგაზრდა ზრონის (19 ქულა) კარგ თამაშს. „რეალმა“ საკუთარ მოედანზე საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხა „სინუდინე“ (ბოლონია) — 101:82. საუცხოოდ ითამაშა „რეალის“ სამეულმა: რულანი (30 ქულა), ბადერდენი (24), შერბიაკი (22). „მაკაბიმ“ გასვლით მატჩში დაამარცხა „დენ ბოში“ (ამსტერდამი) 63:54. უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მეშვიდე ტურის მატჩს „მაკაბისა“ და „ბოსნას“ შორის. ეს გასაგებიცაა. ორივე გუნდს ამ ტურისათვის 8-8 ქულა ჰქონდა. „მაკაბიმ“ შეძლო პირველ წრეში დამარცხებისთვის რევანშის აღება — 84:69. ზაგრების „სპორტსკი ნოვოსტი“ აღნიშნავს გამარჯვებულთა ცენტრალური თავდამსხმელების ვილიამსონისა (28 ქულა) და პერუს (26) ჩინებულ თამაშს. კვლავ ამაოდ დაშვრა „პარტიზანი“ — მან საკუთარ მოედანზე ანგარიშით 83:100 წააგო „რეალთან“. მომდევნო ტურის საინტერესო მატჩი იყო „რეალისა“ და „ბოსნას“ შეხვედრა, რომელიც მადრიდში გაიმართა. იუგოსლაველებს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, წაგება ფრიად წაერთმევდა „სუპერფინალში“ მათ გასვლას, „რეალი“ კი გამარჯვების შემთხვევაში ფაქტიურად ინაღდებდა ფინალის საგზურს. ეს იყო უაღრესად დაძაბული მატჩი, სადაც უკანასკნელ წამებამდე ვერ იტყოდით ვინ გაიმარჯვებდა. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 49:49. მეტოქეები შესვენების შემდეგაც ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. „რეალს“ ნერვებიც მაგარი აღმოაჩნდა, „საკუთარი კედლებიც“ დაეხმარა და გაიმარჯვა — 95:93. არ შეიძლება არ აღინიშნოს სნაიპერების საუცხოო თამაში. უცხოური გაზეთები ერთხმად აღნიშნავდნენ დელიბაშიჩის (44 ქულა) ბრწყინვალე ოსტატობას. გამარჯვებულთა გუნდიდან აღსანიშნავია რულანი (26), შერბიაკი (22), ბრაბენდერი (21), უაღრესად ძვირფასი ქულა დაკარგა „მაკაბიმ“ „სინუდინესთან“ შეხვედრაში. მასპინძლებმა, როგორც „უნიტა“ იტყობინება, ძალზე ძლიერად ჩაატარეს ეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 89:77. მეორე ფინალისტი უნდა დაესახელებინა მატჩს ტელ-ავივში „მაკაბისა“ და „რეალს“ შორის. მასპინძლებმა მთელი მატჩი აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 101:97. მართალია ევროპის ჩემპიონთა თასის მარშანდელმა მფლობელმა „ბოსნამ“ IX ტურში ანგარიშით 95:91 დაამარცხა „დენ ბოში“, მაგრამ მაინც ფინალს მიღმა დარჩა.

ფინალური მატჩი „რეალსა“ და „მაკაბის“ შორის გაიმართა დასავლეთ ბერლინში. ეს იყო მეტოქეთა მესამე მატჩი. ამ შეხვედრისთვის ორივე გუნდი საგულდაგულოდ ემზადებოდა. მატჩი წარიმართა ესპანელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 89:85 (48:40). ეს ჩემპიონთა თასზე „რეალის“. მეშვიდე გამარჯვება იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მადრიდის „რეალის“ კალათბურთელთა გუნდი ტიტულებით არაფრით ჩამოუვარდება ამავე სახელწოდების ფეხ-



# თასები და მათი მფლობელები

ევროპული ტურნირები

●

ბურთელთა გუნდს. „რეალი“ არის ევროპის ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელი (1964, 1965, 1967, 1968, 1974, 1978, 1980). ამ გუნდს არ აკლია მაღალი კლასის ოსტატები. მთავარ დამკვრელ ძალას წარმოადგენს ეგრეთწოდებული „დიდი სამეული“: ვან ბრაბენდერი, ვალტერ შერბიაკი და რაფაელ რულანი. ესპანელთა სასტარტო ხუთეული კი ასეთია: კორბალანი (გამთამაშებელი), ბრაბენდერი და შერბიაკი (თავდამსხმელები), მეისტერი და რულანი (ცენტრალური თავდამსხმელები). გარდა ზემო ჩამოთვლილი კალათბურთელებისა, „რეალის“ ღირსებას იცავენ: ლორენტე, იტურიანგა, რომუ, პერეირა, პრადა, კუერეტა, ბეარანი. გუნდის მწვრთნელია 42 წლის მიგუელ ლოლო სანზი.

## თასების მფლობელთა თასი

პირველ ჯგუფში იტალიის „გაბეტის“ უპირატესობა აშკარა იყო. ამ გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან იტალიის ნაკრების წევრები მარზორატი, დელა, ფიორი, ბარივიერა და ამერიკელი სმითი, რომელსაც, როგორც იტალიური გაზეთი „გაზეტა დელო სპორტი“ აღნიშნავს, „ბადალი არ ჰყავს ფარქვეშ ბრძოლაში“. იტალიელებმა საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხეს მეტოქეები — „კაენი“ (საფრანგეთი) 99:81, „პარკერი“ (ჰოლანდია) — 100:86, „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — 119:79. მეორე ადგილზე გავიდა „პარკერი“.

შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა პირველი ადგილისთვის მეორე ჯგუფში „ემერსონსა“ (იტალია და „ბარსელონას“ (ესპანეთი) შორის. ამ გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვა „ბარსელონამ“ — 70:68 და დაწინაურდა. მეორე წრეში „ემერსონმა“ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება — ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა. „ბარსელონამ“ კი ძალზე საჭირო ქულა დაკარგა „ზადართან“ შეხვედრაში. ასე რომ, პირველი ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა განმეორებით მატჩს ვარესეში „ემერსონსა“ და „ბარსელონას“ შორის. ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა „ემერსონმა“ აღმავლობით ჩაატარა და გაიმარჯვა ანგარიშით 100:80. „ემერსონში“ ამინდს ქმნიან გამოცდილი კალათბურთელები, იტალიის ნაკრების წევრი დინო მენეგინი და ამერიკელი რობერტ (ბობი) მორსი.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ემერსონი“ — „პარკერი“, „გაბეტი“ — „ბარსელონა“. აქ თავი იჩინა იტალიელთა უპირატესობამ. „გაბეტიმ“ ორჯერ (93:92, 78:74) დაამარცხა „ბარსელონა“, ხოლო „ემერსონმა“—„პარკერი“ (89:78 და 93:83). ჟურნალისტების წინასწარმეტყველება „იტალიური ფინალის“ თაობაზე გამართლდა. ფინალური მატჩი, რომელიც ჩატარდა მილანში, შეუპოვარი გამოდგა. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 82:82. დამატებითმა 5-მა წუთმა გამარჯვება „ემერსონს“ მოუტანა — 90:88. გამარჯვებულთა შორის საუკეთესო იყო მორსი (26), დამარცხებულთაგან — მარზორატი (20).

## კორაჩის თასი

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ჰაპოელი“ (ისრაელი) — „ჩიბონა“ (იუგოსლავია), „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია) — „არიგონა“ (იტალია). უაღრესად შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა „იუგოპლასტიკასა“ და „არიგონას“ შორის. პირველი შეხვედრა იტალიაში მასპინძლებმა მოიგეს 11 ქულით (86:75). სპლიტში „იუგოპლასტიკამ“ ზუსტად 11 ქულით აიღო რევანში—97:86. დაინიშნა დამატებითი 5 წუთი, იტალიელებმა შეძლეს ქულათა სხვაობის შემცირება 104:97 და ფინალში გავიდნენ. „ჩიბონამ“ პირველ მატჩში დამარცხებისთვის (80:81) დამაჯერებელი რევანში აიღო „ჰაპოელთან“ განმეორებით შეხვედრაში (92:80) და ასევე ფინალში გავიდა. გადამწყვეტი მატჩი გაიმართა ბელგიის ქალაქ ლიეჟში. შეხვედრის პირველი ნახევარი იუგოსლაველთა უპირატესობით დამთავრდა — 40:35. შესვენების შემდეგ „არიგონამ“ ამერიკელი იოჰანსონის ბრწყინვალე თამაშის წყალობით შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება, ძნელი გამარჯვება მოიპოვა 71:66 და რ. კორაჩის თასს დაეუფლა.

დამთავრებულმა ტურნირებმა დაგვანახა, რომ ევროპის საკლუბო კალათბურთში ამინდს კვლავინდებურად იტალიის, იუგოსლავიისა და ესპანეთის კლუბები ქმნიან, სამწუხაროდ, საბჭოთა გუნდები ამ ტურნირებში უკვე დიდი ხანია არ მონაწილეობენ.

**მ. კალანდაძე.**



## წყალბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის წინ

●

# ხუთი გუნდის მონაწილეობით

# თბილისელები—თასის ნახევარფინალში

**დღეს თბილისში, ლენინური კომკავშირის საწყლოსნო კომპლექსში სტარტს აიღებს წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში ჩაებმებიან: კუბის, ბულგარეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.**

ჩვენმა დედაქალაქმა მსგავს შეჯიბრებას შარშანაც უმასპინძლა და მომავალში განზრახულია მისი ტრადიციულ ტურნირად გადაქცევა, რომელიც კიდევ უფრო წარმომადგენლობითი იქნება...

სსრ კავშირის ნაკრები, როგორც ვიუწყებოდით, ამ ტურნირში მონაწილეობით მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდისთვის მოთამაშეთა ურთიერთშეთანხმებული თამაშისა და სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დახვეწას, კოლექტივის დაკომპლექტებას. სსრ კავშირის შემადგენლობაში ვხედავთ თბილისის „დინამოს“ კაპიტანს ვ. ისელიძესაც, რომელიც სხვა საბჭოთა ოლიმპიური გუნდის კანდიდატებთან ერთად მოსკოვის სტარტებისთვის ემზადება.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, რომელიც ფაქტიურად თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებითაა წარმოდგენილი, მისთვის ეს ტურნირი ძალების შემოწმება იქნება სსრ კავშირის ახალგაზრდა (1960 წელსა და უფრო გვიან დაბადებულნი) წყალბურთელთა საკავშირო პირველობის წინ, რომელიც ამავე აუზში 23 მაისს დაიწყება.

* * *

თბილისის დინამოს წყალბურთელები ორიოდე დღის წინათ დაბრუნდნენ მოსკოვიდან, სადაც სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გამოდიოდნენ. როგორც დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ვ. ხანძემ** გვითხრა, მოსკოვში გუნდს მთელი ძალით არ უთამაშია, ვინაიდან წინ თბილისის საერთაშორისო ტურნირი და ახალგაზრდა წყალბურთელთა საკავშირო პირველობა ელოდა. ეს კი ენერგიის გონივრულ განაწილებას მოითხოვდა. ერთი სიტყვით, თბილისელებმა იმდენი გააკეთეს, რამდენიც ნახევარფინალის საგზურის მოპოვებისთვის იყო საჭირო და მიზანსაც მიაღწიეს. მოსკოვის ქვეჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდა, აგრეთვე, სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის (სსფ ცსკ), ხოლო დანარჩენი ქვეჯგუფებიდან — მოსკოვის, კიევის, ალმა-ათისა და ლვოვის „დინამოს“, აგრეთვე, ხარკოვის „ლოკომოტივისა“ და ბაქოს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის მეზღვაურთა (ცწფ) გუნდი.

მოსკოვის მეოთხედფინალურ ქვეჯგუფში თბილისელთა გარდა გამოდიოდნენ უმაღლესი ლიგის გუნდები: ტაშკენტის „მეხნატი“, ლენინგრადის „ბალტიკა“, სსფ ცსკ და I ლიგის წარმომადგენელი — ყაზანის „სინთეზი“. მათთან შეხვედრები თბილისელებმა ასე დაამთავრეს: „სინთეზთან“ —8:8, „მეხნატთან“— 4:4, სსფ ცსკ-თან — 3:4 და „ბალტიკასთან“ —5:4. გუნდის უფროსი მწვრთნელი განსაკუთრებით უკმაყოფილოა „სინთეზთან“ თამაშით. მან სამართლიანად მიაჩნია [illegible] ტარებული მატჩი, [illegible] ჯერ ვერ გამოიყენეს ზედმეტი მოთამაშე და ერთხელაც — პენალტი.

თბილისელთა რიგებში არ იყვნენ ისეთი ძლიერი და გამოცდილი წყალბურთელები, როგორებიც არიან ისელიძე და კუტივაძე. პირველი, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა შორის ვარჯიშობდა, ხოლო კუტივაძე ავადმყოფობდა. მათ ნაცვლად სარბიელზე გამოვიდნენ ახალბედები — ქათამაშვილი და ა. გიორგაძე. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე შეიყვანეს გუნდის შემადგენლობაში, თუმცა აქამდე არ უთამაშია, ხოლო ქათამაშვილი „ნორჩი დინამოელიდან“ აიყვანეს.

ახლა მათ სერიოზული გამოცდა ელით თბილისის საერთაშორისო ტურნირში, რომლის შეხვედრები 17 საათზე დაიწყება, ბოლო დღეს, 21 მაისს კი — 12 საათზე.

ა. რაჰველიშვილი.

# ქრონიკა

● ძიუდო

### რამაზ ხარშილაძის ბრინჯაო

**ვენის** „ჰალენშტადიონის“ სპორტულ მანეჟში დაიწყო კონტინენტის ჩემპიონატი ძიუდოში, რომელიც ამავე დროს მოსკოვის ოლიმპიადის წინ ძალების გენერალურ დათვალიერებად ითვლება. ვენის ტატამზე მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა — 28 ქვეყნის 140 ფალავანი გამოდის.

საბჭოთა სპორტსმენებმა უკვე მიაღწიეს პირველ წარმატებას — მძიმე წონის ალმაათელმა ა. ტიურინმა ფინალურ ორთაბრძოლაში პირველივე წუთზე სარმით დასცა ი. ვარგა და 30 წამით შეაჩერა ბეჭებზე. ბრინჯაოს მედლები ერგოთ ფრანგ ა. პარიზის და ჰოლანდიელ პ. ადელარს.

ქვემძიმე წონაში გამოდიოდა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, თბილისელი არმიელი რ. ხარშილაძე. მან ვენაში 1975 წელს გამართულ მსოფლიოს პირველობაზე III ადგილი დაიკავა. რამაზმა ახლაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მან ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში წააგო დ. ლორენცთან (გდრ), რომელიც ფინალში ფრანგ ჟან ლიუკ რუჟესთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

● სასტენდო სროლა

### ნაკრებში — ორი თბილისელი

**გდრ-ის** ქალაქ ზულში დამთავრდა მრგვალ სტენდზე სროლაში ევროპის თასის გათამაშება, რომელმაც გამარჯვება იტალიის ნაკრებს მოუტანა — 571 ქულა. საბჭოთა კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თბილისელები თ. იმნაიშვილი და თ. მატოიანი, აგრეთვე, ა. სკუბა და ა. სოკოლოვი, 568 ქულით მეორე ადგილი მოიპოვა. მესამე ადგილზე ჰოლანდიელები გავიდნენ.

პირად პირველობაში ყველას აჯობა ვ. ჰოპვალდმა (გდრ) — 196 ქულა 200-დან. თ. იმნაიშვილმა და ფრანგმა ბ. როსეტიმ მასთან ქულა წააგეს. მეორე პრიზიორის გამოსავლენად ჩატარებული დამატებითი სერია მოიგო იმნაიშვილმა.

● ველოსპორტი

### საზღვარი გადალახეს

**ერთდღიანი** შესვენების შემდეგ მშვიდობის 33-ე ველორბოლის მონაწილეებმა მეხუთე ეტაპის სტარტი აიღეს პოლონეთის ქალაქ კარპაჩში და 201 კილომეტრის შემდეგ გდრ-ის ქალაქ ფორსტში ჩავიდნენ. ეს იყო ყველაზე გრძელი ეტაპი, რომლის გავლას გამარჯვებულმა ი. ბუეზნიმ (პოლონეთი) 4 საათი, 46 წუთი და 51 წამი მოანდომა. მომდევნო ადგილებზე აღმოჩნდნენ ლ. ფერებაუერი (ჩსსრ) და რბოლის ლიდერი ი. ბარინოვი (სსრკ).

გუნდური პირველობა პოლონელებმა მოიგეს — 14:20.56. მომდევნო ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიელი და საბჭოთა ველოსიპედისტები.

ხუთი ეტაპის შემდეგ ბრძოლას ლიდერობენ ბარინოვი და ჩვენი ქვეყნის ნაკრები.

● აკადემიური ნიჩბოსნობა

### მეექვსე ადგილზე

**მოსკოვში,** კრილატსკოეს სანიჩბოსნო არხში დამთავრდა ქვეყნის პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს შეადგენდა ოლიმპიური ნაკრების შერჩევა.

მესაჭიანი ოთხადგილიანი გასაშლელებით შეჯიბრებაში საქართველოს ვაჟთა გუნდმა (მომსმელი გ. პატარაია) VI ადგილი დაიკავა. საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ლატვიის „დინამოს“ წევრებს ჟ. ტიკმერსს, ძ. და დ. კრიშიანისებს, ა. გარონსკის (მესაჭე ა. ბერზინში) — 6.11,2. მათ 3,6 წამით ჩამოიტოვეს სსრ კავშირის ნაკრების ეკიპაჟი. III ადგილზე გავიდა უკრაინის გუნდი.

ქალთა შორის ამ სახეობაში პირველები იყვნენ ფსკოვის „სპარტაკის“ სპორტსმენები (გ. სოვეტნიკოვი, ვ. და ს. სემიონოვები, მ. ფადეევა, მესაჭე ნ. ჩერემისინა). მათ 1000 მეტრი 3.16,2 წამში დაფარეს. ვერცხლის მედალი მიიღო პირველი ნაკრების ეკიპაჟმა, ბრინჯაოსი — ქვეყნის მეორე ნაკრებმა.

ქალების ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით ასპარეზობაში ჩემპიონები გახდნენ ლ. პოპოვა და ე. ხლოპცევა, ხოლო ვაჟებში — ნ. დოვგანი და ე. ბარბაკოვი. ორადგილიანი უმესაჭო გასაშლელებით ვაჟების შეჯიბრება დამთავრდა მოსკოვის „ტრუდის“ დუეტის (ი. და ნ. პიმენოვები) გამარჯვებით. მესაჭიანი ორადგილიანი გასაშლელით რბოლა მოიგეს გ. კრუჩკინმა და ვ. პერევერზევმა მესაჭე ვ. ლუკიანოვთან ერთად (აზერბაიჯანი).

● რეგბი

### რვანი ნაკრებში

**რეგბის** საკავშირო ფედერაციამ შეადგინა და საკავშირო სპორტკომიტეტმა დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის ახალი შემადგენლობა რეგბიში, რომელიც მომავალი საერთაშორისო ტურნირისთვის მოემზადება. ნაკრებში საქართველოს გუნდებიდან 8 სპორტსმენი შევიდა. ესენია: თბილისელი რკინიგზელები — **დ. კილასონია, მ. ხარშილაძე, ვ. წერეთელი, რ. სულთანიშვილი, ფ. ზურაბიანი** და **ნ. ლიპარტელიანი**, ქუთაისის „სახლმშენიდან“ — **ო. ლიპარტელიანი** და **ვ. ლელუაშვილი.**

● სპორტული ტანვარჯიში

**გ. ეგნატაშვილის** სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში დაიწყო საქართველოს პირადი ჩემპიონატის მეორე, დასკვნითი ეტაპი სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში 19 ქალი და 14 ვაჟი შეეცილება რესპუბლიკის ჩემპიონის სახელს.

* * *

**სურათზე:** გოგონათა შეჯიბრების მომენტი.

ე. ნევაძის ფოტო.



● ძალოსნობა

### რეკორდებზე შეტევა გრძელდება

**მოსკოვის** „იზმაილოვოს“ ოლიმპიურ დარბაზში გრძელდება ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი.

56 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო ვოლგოგრადელმა ვ. ვერეტენიკოვმა—265 კგ. კემეროვოელი ნ. ზახაროვი მას 7,5 კილოგრამით ჩამორჩა. „ბრინჯაო“ წილად ხვდა მინსკელ რ. დიჭეს — 250 კგ.

60 კგ წონაში ტოლი არ ჰყავდა შახტინსკელ ვ. მაზინს — 292,5 კგ. II ადგილზეა ნოვოსიბირსკელი ვ. გოლოვკო—282,5 კგ. III — ყაზანელი ს. მინიძი — 275 კგ. მაზინმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში — 131 კგ და ოლიმპიურ ჩემპიონ ნ. კოლესნიკოვის მსოფლიო რეკორდი გაიმეორა ორჭიდში.

67,5 კგ-ში ყველას აჯობა 24 წლის მოსკოველმა ა. ავსეტოვმა — 312,5 კგ. მან მეოთხე, დამატებით ცდაზე საკავშირო რეკორდი დაამყარა ატაცში — 143,5 კგ. ორჭიდში ვერცხლის მედალი ერგო სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს, კოკჩეტაველ ვ. ანდრეევს — 310 კგ. ასეთივე შედეგით III ადგილზეა როსტოველი ს. პევზნერი.

75 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა ვ. დენისოვმა (პერმი) — 340 კგ. ა. ლოგუტოვმა (ნოვოკუიბიშევსკი) 335 კგ. მოაგროვა, ვ. ხამიდოვმა (გროზნო)—325 კგ.

● მძლეოსნობა

### გუშინდელი იუნიორის მიღწევა

**სტავროპოლში** გამართულ ამ მხარის მძლეოსანთა შეჯიბრებაში სტავროპოლელმა გ. კოლნოტენჩენკომ ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა — 67,36 მ. ეს შედეგი 10 სმ-ით სჯობს მოსკოველი ი. დუმჩევის მიერ მარტის დამლევს დამყარებულ მიღწევას.

### სხვა მერიდიანზე

**კინგსტონში** (იამაიკა) გამართულ საერთაშორისო ტურნირში ოლიმპიური მედლის ორი პრეტენდენტის — ინგლისელ ს. ოვეტისა და ტანზანიელ ფ. ბეის დავა 1500 მეტრზე რბენაში ოვეტმა მოიგო — 3.38,7. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იამაიკელმა დ. ქვორიმ 200 მეტრი 20,5 წამში დაფარა.

**ლოს-ანჯელესში** ამავე მანძილზე ზუსტად იგივე შედეგები აჩვენა ლ. კინგმა (აშშ). აქ 100 მეტრზე პირველი იყო სენფორდი — 10,02. ბენქსის შედეგია სამხტომში — 17,14. უილკინსის ბადრომ კი 67,10 მ. იფრინა.

ამერიკის მეორე ქალაქ ფრეზნოში გამართულ შეჯიბრებაზე მასპინძელმა დიორნზმა ბადროს ტყორცნაში გაცილებით უკეთეს შედეგს (69,14 მ.) მიაღწია.

**პოტსდამში** გამართულ გდრ-ის მძლეოსანთა ტურნირის ზოგიერთ შედეგებზე ვიტყობინებოდით, ახლა დავუმატებთ, რომ ასპარეზობაში კიდევ ბევრმა შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი: ქალთა შორის ბ. ეკერტმა 200 მეტრი 22,19 წამში გაირბინა, რ. აკერმანმა 193 სმ სიმაღლე დაძლია, 4X100 მეტრზე ესტაფეტაში კლუბ „მოტორის“ კვარტეტმა (აუერსვალდი, გიორი, ეკერტი, რაბე) საკლუბო გუნდებისთვის არაოფიციალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა—42,36. ვაჟებში ლაუტერბახმა 225 სმ სიმაღლე გადალახა, ხოლო ქვეყნის ნაკრებმა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში 38,96 წამი აჩვენა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

### დღეს

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს XXXI სპარტაკიადა, რომელშიც საქართველოს პროფტექგანათლების სისტემის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ.

დასაწყისი 15 ს.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 17 მაისი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი** (თბილისი) — „მადაროელი“ (ბოთურა). დასაწყისი 16 ს. „სპარტაკის“ ბაზა ოქროყანაში. „სპარტაკი“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი). 17 ს. **18 მაისი.** დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „ავიატორი“ (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა). 17 ს. 30 წთ.

ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. უფროსი ასაკი. ასკ-ის სტადიონი. „განათლება“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი). 12 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი). 12 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „შრ. რეზერვები“ (თბილისი). 12 ს.

„სიჭაბუკის თასის“ ფინალი. ასკ-ს სტადიონი. „განათლება“ (თბილისი) — „განთიადი“ (ქუთაისი). 13 ს. 30 წთ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 10144